

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები საქართველოში და მათი საკრედიტო პორტფელი

რუსუდან პაპასკირი

ტექნიკის აკადემიური დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

საქართველოს კანონში „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“
გვითხულობთ: „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია არის შეზღუდული პასუ-
ხისმგებლობის საზოგადოების ან სააქციო საზოგადოების ორგანიზაცი-
ულ-სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული იურიდიული პირი, რომე-
ლიც მისი განაცხადის საფუძველზე რეგისტრირებულია საქართველოს
ეროვნული ბანკის მიერ და ახორციელებს ამ კანონით გათვალისწინებულ
საქმიანობას საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობით“¹.

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უფლებამოსილია, განახორციელოს
იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის მიკროსესხების გაცემა. მის
მიერ გაცემული მიკროკრედიტების მაქსიმალური ჯამური რაოდენობა
ერთ მსესხებელზე არ უნდა აღემატებოდეს 50 000 ლარს.

ამჟამად საქართველოს საკრედიტო ბაზარი სამი ძირითადი ინსტი-
ტუტით არის წარმოდგენილი. ესენია:

1. კომერციული ბანკები;
2. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები;
3. საკრედიტო-საშუამავლო ორგანიზაციები.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წარმოშობა და განვითარება გან-
საკუთრებით აქტიურ თემად იქცა 2008 წლის მეორე ნახევარში, როცა
აგვისტოს ომისა და დასავლეთში დაწყებული გლობალური კრიზისის
გავლენით საქართველოს კომერციულმა ბანკებმა გაამკაცრეს საკრედი-
ტო პოლიტიკა და, ფაქტიურად, შეწყვიტეს სესხების გაცემა. გაჩნდა
კრედიტებზე დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა. ეს დეფიციტი, ფაქტიუ-
რად, ამოავსეს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა, რომლებიც კომერცი-
ული ბანკების ალტერნატივად მოეწოდებინათ ქვეყანას.

ამჟამად საქართველოს ბაზარზე ფუნქციონირებენ ორი სახის მიკრო-
საფინანსო ორგანიზაციები:

¹ საქართველოს კანონი „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“, თბ.,
2006, გვ. 1.

1. შედარებით მსხვილი მიკროსაფინანსო ორგანიზაციები. ისინი, ძირითადად, უცხოური კაპიტალით არიან შექმნილნი. ამ ორგანიზაციების ჩამონათვალში შედიან: CREDO (33272956 აშშ დოლარი კაპიტალით), ლაზიკა-კაპიტალი (7735072 აშშ დოლარი კაპიტალით), FINCA (16758554 აშშ დოლარი კაპიტალით), Crystal (8097561 აშშ დოლარი კაპიტალით) და აგროკრედიტი.¹

ჩამოთვლილი მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ბაზარზე აგრო და მცირე ბიზნესს სესხებით არიან პოზიციონირებულები.

2. ლომბარდული მიკროსაფინანსო ორგანიზაციები. მათი აქტივები ფორმირებულია ფიზიკური პირების სადამფუძნებლო კაპიტალით და მოზიდული სესხებით. ისინი ბაზარზე პოზიციონირებული არიან უძრავი ქონების და ლომბარდის ტიპის სესხით პროდუქტებით. ამ ტიპის მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან აღსანიშნავია „რიკო ექსპრესი“, „იზიკრედიტ ჯორჯია“, „ბი აი ჯი“ და „B –კრედიტი“.

პირველი ტიპის მიკროსაფინანსო ორგანიზაციები საქართველოს საკრედიტო ბაზარზე 2008 წლის აგვისტოს ომამდეც მუშაობენ, ხოლო, რაც შეეხება მეორე ტიპის მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, ისინი აგვისტოს ომის შემდეგ გამოჩნდნენ.

2006 წელს საქართველოში მხოლოდ 3 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფუნქციონირებდა, 2008 წელს მათი რიცხვი 27-მდის გაიზარდა, 2009 წელს – 38-მდე, 2010 წელს – 49-მდე და 2011 წელს – 54-მდე (იხ. გრაფიკი). მაშასადამე 2008-2011 წლების პერიოდში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა გაორმაგდა.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა მათი საკრედიტო პორტფელი. 2007-2011 წლებში იგი 56850448 ლარიდან 245996082 ლარამდე გაიზარდა (ანუ – თითქმის ხუთჯერ). ცალკეულ წლებში იგი შეადგენდა:²

2007 წელს – 56850448 ლარს.

2008 წელს – 112686196 ლარს.


2009 წელს – 130109412 ლარს.

2010 წელს – 229530264 ლარს.

2011 წელს – 245996082 ლარს.

1 საქართველოს ეროვნული ბანკის 2010 წლის ფინანსური სტაბილურობის ანგარიში, 2011.


2 იქვე.




ნახ. 1. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობის დინამიკა საქართველოში

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ბაზარზე პოზიციონირებული არიან იპოთეკური სესხებით და ავტოლომობარდით. ამ სესხების უზრუნველყოფა უძრავი ქონება და ავტომობილი.

საერთოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს კომერციულ ბანკებთან შედარებით მთელი რიგი უპირატესობები აქვთ. პირველ რიგში, ეს არის მომსახურების დროის სიმცირე. საბანკო კრედიტის პროცედურებთან განსხვავებით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში იგივე ოპერაციებს 2-ჯერ ნაკლები დრო სჭირდება და ყველა ოპერაცია ერთ სამუშაო დღეშია შესაძლებელი. ეს ჩანს ქვემოთ მოცემული სქემიდანაც.



ა) კომერციული ბანკი



ბ) მიკროსაფინანსო ორგანიზაცია

სქემა. 1. საკრედიტო პროდუქტის პროცედურები კომერციულ ბანკში და მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში

მეორე მიზეზი, რის გამოც საქართველოში მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს მრავალი მომხმარებელი (მსესხებელი) ჰყავს, იმაში მდგომარეობს, რომ კომერციულ კრედიტზე ყველა იურიდიული და ფიზიკურ პირს არ მიუწვდება ხელი. კომერციულ ბანკებს საკრედიტო ოპერაციები საკმაოდ ძვირი უჯდება და ყოველივე ეს უბიძგებს მათ, მაქსიმალურად მკაცრად და კომპეტენტურად შეაფასონ რისკები და გამოხშირონ მაღალრისკიანი პროდუქტები, რადგან ბანკის შემოსავალზე და სიცოცხლისუნარიანობაზე გაპრობლემებული სესხების მოცულობა დამლუპველად მოქმედებს. ამიტომ ისინი ამკაცრებენ სასესხო პროცედურებს და პირობებს და არჩევენ ნაკლებ რისკიან პროდუქტებს და ნაკლებ რისკიან მსესხებლებს – საუკეთესოებს საუკეთესოთა შორის.

დარჩენილი მსესხებლები, ცხადია, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კლიენტები ხდებიან. ამას ემატებიან მცირე საწარმოები, რომელთაც მცირე და არასტაბილური შემოსავალი გააჩნიათ და ა. შ. ამას აგრეთვე ემატებიან სემენტები, რომელთაც არ აფინანსებს საბანკო სექტორი. ესენია: ახლად გახსნილი ორგანიზაციები, რომელთა საოპერაციო საქმიანობა არ აღემატება 6 თვეს (არადა, სწორედ მათ სჭირდებათ კრედიტი), სათამაშო ბიზნესი, ვალუტის გადამცვლელი პუნქტები და სხვები.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მომხმარებელთა სია საქართველოში კიდევ უფრო გაიზარდა ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში, როცა კრედიტ-ინფო-ს ბაზაში მოხვდა 300 000 ურჩი გადამხდელი. მათი დავალიანება 6.4 მლრდ ლარია და აქედან მხოლოდ 2.9 მლრდ სესხი არის ქონებით უზრუნველყოფილი. რაღა თქმა უნდა, ეს მსესხებლები ვიდრე ძველ სესხებს არ დაფარავენ, ვერ აიღებენ ბანკში ახალ სესხს. ამიტომ ისინიც მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კლიენტები ხდებიან.

მეოთხე მიზეზი არის ბანკიდან გატანილი თანხის კრედიტის სიმცირე. ბანკი კრედიტს მომხმარებლის შემოსავლის მიხედვით უსაზღვრავს და რისკების დაზღვევის მიზნით ყოველთვიური გადასახადების სახით შემოსავლების 30-40%-ის უწესებს. ასეთი მიდგომა მრავალ მსესხებელს არ აწყობს და ისინიც ეძებენ ბანკის კრედიტის ალტერნატივას. ეს არის მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კრედიტი.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები მეტად მოქნილი სტრუქტურის მქონენი არიან. მათი მართვის აპარატში 7-9 კაცია მხოლოდ. გადაწყვეტილების მიღების პროცესი და პირდაპირი და უკუკომუნიკაცია მათ შორის მეტად სწრაფად მიმდინარეობს.

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

საქართველოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პროდუქტების საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 24-დან 48%-მდე. ასეთი მაღალი განაკვეთი მას შესაძლებლობას აძლევს, დააკრედიტოს სარისკო პროექტებიც. ამის გარდა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები რისკს აზღვევენ სესხის უზრუნველყოფით. ბანკებისაგან განსხვავებით, რომელთაც თითქმის 4 მლრდ-ის არაუზრუნველყოფილი სესხი აქვთ გაცემული, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ასეთ სესხებს არ გასცემენ.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის პოზიტიური მხარე კიდევ ის არის, რომ თუ მას სესხი გაუპრობლემდა, იგი 2 კვირის შემდეგ უკვე მიმართავს აუქციონს და ამით ახერხებს მინიმუმ 2 თვეში გაპრობლემებული სესხის დაფარვას (ბანკებში ამას 6 და მეტი თვე სჭირდება).

ყოველივე ზემოთნათქვამი გვაძლევს იმის საფუძველს, დავასკვნათ, რომ ქართულ საკრედიტო ბაზარზე მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს მტკიცედ უკავიათ მცირე სესხების სეგმენტი და თუ ისინი ამ ტემპით განვითარდნენ, როგორც ვითარდებიან, ამ სეგმენტს დათმობენ და გაფართოვდებიან სხვა სეგმენტშიც. ამის გარკვეული ნიშნები მათ მიერ სოფლის მეურნეობის დაკრედიტებაში გამოიხატება. აქაც მათ კარგი რეპუტაცია აქვთ. კომერციული ბანკები რისკების შეფასების მკაცრი პირობებით მომავალშიც ვერ შეძლებენ სასოფლო ფირმების დაკრედიტებას. ამიტომ ეს სეგმენტი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების იქნება. პრობლემა მხოლოდ იმაშია, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს რადგან არა აქვთ დეპოზიტების მიღების უფლება (ბანკებისგან განსხვავებით), მათი საკრედიტო რესურსი მცირეა და ვერ ფარავს სასოფლო-სამეურნეო ბიზნეს-სუბიექტების მოთხოვნას. კარგი იქნება, თუ საქართველოს ეროვნული ბანკი ჩაერთვება ამ საქმეში და დაარეგულირებს მას.